მამუკა მაღულარია

მარგოს ხიზნები

”რომანი”

გვიამბე მუზავ ამბავი, მრავალტანჯული კაცისა,
ვინც ბევრი იხეტიალა, ტროას ციხისა მხარესა.
ჰომეროსი, ”ოდისეა”

პროლოგი

როგორ დავწეროთ წიგნი, რომელიც ნებისმიერი ზომის ჯიბეში ჩაეტევა? ავიღოთ ასობით მოთხრობა, იგივე რაოდენობის სამეცნიერო ნაშრომი, ზღაპრები, ენციკლოპედია, ატლასი, ბიბლია, სულ დაახლოებით ათასი გვერდი და კომპიუტერში ჩავტვირთოთ. შემდეგ რომელიმე პროგრამით ყველაფერი ერთმანეთში ავურიოთ და შიგ რაიმე ცვლილებები შევიტანოთ. მერე ეს ”აჯაფსანდალი” ამოვბეჭდოთ, რამდენიმეჯერ ყურადღებით წავიკითხოთ და განსაკუთრებული ადგილები, წითელი ფანქრით გავხაზოთ. ბოლოს ეს ყველაფერი უახლოეს სანაგვეზე წავიღოთ და იმის შემხედვარე, თუ როგორ იწვის ეს ”შედევრი”, შორიახლოს ჩამოვჯდეთ და იმდენი ვიფიქროთ, სანამ თავში ისეთი რამ არ მოგვივა, რომლის ქაღალდზე გადატანაც მართლა ღირს…

1 თავი

ამბობენ, ალპების ჩრდილში ნამდვილი ზაფხული, არასოდეს დგებაო. მზიანი დღეები აქ, ანტრაციტივით ძვირფასია. თითქოს გაზაფხულს და შემოდგომას პირი შეუკრათ და ზაფხულს სიკვდილით ემუქრებიან. ვინ იცის, იქნებ ამიტომაცაა ჩრდილოელი მამაკაცი ასეთი: სიყმაწვილეში – არც თუ ისეთი ახალგაზრდა,

ასაკში კი, მუდამ სკეფსისსა და სენტიმენტს შორის მერყეობს, რაც საბოლოო ჯამში ან პოეტობას, ან ლოთობას იწვევს. სულ სხვა საქმეა, აქაური გოგონები რომლებიც, ნამდვილი მეოცნებენი არიან.

პოლიც – უფრო მეორე გახლდათ, ვიდრე პირველი, არც ახალგაზრდა და არც მოხუცი, ის მედროგე იყო. ერთადერთ მშვენიერ ასულს, მარტოდმარტო ზრდიდა, რადგან ადრე დაქვრივებულიყო. გოგონა ტანმორჩილი იყო, მაგრამ ისეთი დახვეწილი აღნაგობა ჰქონდა, რომ მაინც მაღალი ჩანდა. ანდალუზიელ და რომაელ ქალთა მსგავსად, მის კანს მშვენიერი ოქროსფერი გადაჰკრავდა. ტანწერწეტა, ნაზი, მკვირცხლი და გამჭრიახი, აბრეშუმის თმითა და მგზნებარე თვალებით, ზებუნებრივ, არაამქვეყნიურ არსებას ჰგავდა.

ერთხელაც პოლმა, მეორედ დაქორწინება გადაწყვიტა. ახალი ცოლი – როზა, ბოროტი ქალი გამოდგა, რომელსაც საკუთარი ორი ქალიშვილიც მოჰყვა. შვილებსაც დედის საშინელი ხასიათი აღმოაჩდათ. ქორწილის შემდეგ სამივემ მალე გამოამჟღავნა არნახული უზნეობა. ხედავდნენ, ლამაზი, სათნო გოგონას გვერდით, კიდევ უფრო უხასიათო და მახინჯები რომ ჩანდნენ. ამიტომაც შეიძულს გერი და აიძულებდნენ, სახლში ყველანაირი საქმე მას ეკეთებინა. საბრალო გოგონა რეცხავდა, საჭმელს ამზადებდა, ნახევარდების ოთახებს ალაგებდა და იატაკს წმენდდა. თვითონ კი, ვიწრო და ბნელ ოთახში ცხოვრობდა, რომელიც კიბის ქვეშ იყო მოთავსებული. სინამდვილეში, ეს საერთოდ არ იყო ოთახი, არამედ – საკუჭნაო კიბეების ქვეშ, რომელიც უფრო პატარა და ვიწრო ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო.

ცხადია, ასეთი სიუჟეტის წაკითხვისას, შეიძლება გაგვიკვირდეს, რამდენად ნაცნობია ის. ან იქნებ არც გაგვიკვირდეს, რადგან სულ ვიცოდით, რომ ავტორი ყოველთვის თავისუფალია საკუთარ არჩევანში. უფრო მეტიც, ლიტერატურისათვის მგონი საკმარისი აღარაა მხოლოდ ნებისმიერი პრობლემით დაინტერესება, არამედ აუცილებელიც კია თუნდაც ნაცნობი ამბის, ახლებურად

მოყოლა. მთავარი ისაა, რომ გმირის არჩევანის თავისუფლება არ ნიშნავდეს, აკეთოს ის რაც სურს, არამედ ეს პასუხი უნდა იყოს იმაზე, რასაც მას ბედისწერა უმზადებს.

გოგონას მარგარიტა ერქვა, მაგრამ რაც მათ ოჯახში დედინაცვალი გამოჩნდა, ეს სახელი აღარავის ახსოვდა! თავისუფალ დროს, როცა მარგო თავის საყვარელ წიგნებს კითხულობდა ხოლმე, დედინაცვალი თავს წაადგებოდა და ერთი კარგად დატუქსავდა:
– რაო!? ”კონკიაო”!? ამხელა გოგო, კიდევ ზღაპრებს კითხულობ? ახლავე საქმეს გამოგიძებნი, შენ მართლა კონკია, შენა!
და იმ დღიდან მარგარიტას, ყველა კონკიას ეძახდა, როგორც ეს იმ ზღაპარშია.

და მაინც, ერთთავად დაკონკილი მარგარიტა, უფრო ლამაზი ჩანდა, ვიდრე მისი ნახევარდები, თავიანთ ძვირფას კაბებში. ერთადერთი რამ, რაც მას ამ ყოფაში აძლებინებდა ცეკვა იყო. თავდავიწყებით ცეკვავდა ხოლმე თავის ოთახში, როცა სახლში ყველას ეძინა. მარსელის საკვირაო ბაზრობაზე ნანახ, მოხეტიალე მსახიობთა მოძრაობებს, იშვიათი სიზუსტით იმეორებდა. სანთლის შუქზე, ისე დაფარფატებდა, თითქოს იატაკს არც ეხებაო.

სულ მალე მათ პატარა, პროვინციულ ქალაქში ხმა დაირხა: ჩვენთან რევიზორი მობრძანდებაო. ამ ამბის გამო, იქაურ ყველაზე დიდ დარბაზში, მეჯლისი დაინიშნა, რომელზეც ყველა მსურველი მიიპატიჟეს. ამ ამბავმა მარგარიტას გერები და დედინაცვალი აღტაცებაში მოიყვანა.
– ალბათ შენც გინდა მეჯლისზე წამოსვლა, არა კონკია? – ჰკითხა დედინაცვალმა.
ამაზე დებმა, საშინელი ხარხარი ატეხეს. რათქმაუნდა მარგოს ძალიანაც უნდოდა მეჯლისზე წასვლა, მაგრამ როგორ? აბა, სად ჰყავდა მას კეთილი ფერია, რომელსაც ჯადოსნური ჯოხის ერთი აქნევით შეუძლია უზარმაზარი გოგრა, ოქროს ეტლად გადააქციოს. ექვსი პატარა თაგვი – რაშებად. გრძელულვაშიანი ვირთხა – ჩასუქებულ მეეტლედ. ხვლიკები კი, აქეთ-იქით ამოუყენოს ეკიპაჟს.

მას შემდეგ, რაც სახლში ეს ყოფილი მრეცხავი – დედინაცვალი ჩასახლდა, ამაზე ბევრი უფიქრია, მაგრამ ვერ წყვეტდა: თითქოს მოთმინების ფიალას ბოლო წვეთი აკლდა, რომ ავსებულიყო. და ეს წვეთიც გაჩნდა. ამის ატანა უკვე აღარ შეეძლო. უნდა გაქცეულიყო ამ ბოროტების ბუდიდან, გალოთებული მამისგან, აუტანელი ყოფისგან იქ, სადაც ზაფხულიც ნამდვილია, ცეკვასაც შეძლებს და ვინ იცის, იქნებ ნამდვილ უფლისწულსაც შეხვდეს.

ჰოდა, ზუსტად მეჯლისის იმ ღამეს, როცა სახლში არავინ იყო. ბიჭურად გამოწყობილი და თმაშეკვეცილი, მამის ცხენით გაუჩინარდა. რაც შეიძლება სწრაფად, მარსელში უნდა ჩასულიყო, პირველივე გემზე აპარულიყო და იქაურობას გაცლოდა. გაგონილი ჰქონდა, "ზღვის პატარა მგლების" ამბავი, გემებზე ქურდულად რომ იპარებიან და ასე მოგზაურობენ. თან, ბევრი არაფერი ჰქონდა: ცოტა დანაზოგი, ცოტა საგზალი, ერთი მომცრო ფუთა და დედის ნაჩუქარი ბრინჯაოს ყელსაბამი – წმინდა პორფირეს გამოსახულებით.

გზა საშინლად დამღლელი აღმოჩნდა. დროდადრო წვიმდა. თავს ძლივს იკავებდა, გული რომ არ წასვლოდა. ბოლოს როგორც იქნა, მეორე დღის დასასრულს გამოიდარა. შებინდებისას მარგარიტა უკვე მარსელში იყო. გეზი პირდაპირ სანაპიროსკენ აიღო. იქვე კაბარესთან ჩამოხტა, ცხენს მათრახი მაგრად გადაუჭირა და შინ დაბრუნება უბრძანა. მერე კაბარეში, კარგად დანაყრდა, დაისვენა და დაღამებას დაელოდა.

ნავსადგური ჩიბუხიანი მეზღვაურებით, უზარმაზარი გემებითა და თევზის სუნით იყო სავსე. პირველივე გემზე წარწერა ეკიდა: "არგო" გამთენიისას მიემგზავრება". წამით მოეჩვენა, თითქოს გემზე მისი სახელი ეწერა. ეს ნიშანიაო, გაიფიქრა. თითქოს გემი ეძახდა: ნუ გეშინია მომენდე ყველაფერი კარგად იქნებაო. ბევრი აღარ უფიქრია და მიენდო ბედისწერას. ესეც არ იყოს, დასაკარგი რა ჰქონდა? ემზადებოდა, სუნთქვა ეკვროდა, გული კი თავგადასავლებით სავსე

ახალი ცხოვრების დასაწყისს უგრძნობდა. ეტყობა, ის კეთილი ფერია მაინც არსებობდა მარგოს ცხოვრებაში.

2 თავი

მაგრამ, აი რა სიძნელეები წამოიჭრა მის წინაშე:
”როგორ ავიპარო გემზე, ან სად დავიმალო?” – ფიქრობდა ის. მეზღვაურები გემის დატვირთვას რომ მორჩებოდნენ, მაშინ უნდა აპარულიყო ხომალდზე. ასეთ შემთხვევაში, სიბნელეში სადმე მიიმალებოდა. ურიცხვ ყუთებსა და კასრებს შორის თავშესაფრის მონახვა არ გაუჭირდებოდა. და ეს მომენტიც დადგა. ირგვლივ მიმოიხედა. არავინ იყო. ”ან ახლა, ან არასდროს!” – წაიჩურჩულა და გემბანისაკენ გაიქცა. ზედ ღია ლუკის პირას შედგა. ტრიუმში კიბე იყო ჩაშვებული, რომელზეც ფრთხილად დაეშვა. უწესრიგოდ დაყრილ ყუთებზე გადაძვრა და უზარმაზარი კასრის უკან მიიმალა.

მალე ისე მაგრად ჩაეძინა, კენტერბერიის ზარებიც რომ ჩამოერეკათ, მაინც ვერ გაიღვიძებდა. გზამ და ნერვიულობამ ძალა გამოაცალა. როცა გამოეღვიძა, ისევ ხმაური მოესმა – ღუზას იღებდნენ, გემის ფერდებს ტალღები ეხეთქებოდა. ”არგო” ტოვებდა ნავსადგურს და ღია ზღვაში გადიოდა! წარმატებამ თავბრუ დაახვია. საოცრად ბედნიერი იყო. ახლა ველარავინ დაეწეოდა. ისეთი გახარებული გახლდათ, არც აინტერესებდა საით მიცურავდა. იჯდა და იმ ნანატრ წუთზე ფიქრობდა, როცა ნაპირზე გადავიდოდა.

მაგრამ ვინ იცის, რამდენ ხანს, ტრიუმში როგორ გაატარებდა. არც საჭმელი ჰქონდა და არც სასმელი. ამის გაფიქრებაზე, შიშმა აიტანა. ხელებით უზარმაზარი ყუთი მოსინჯა, რომელიც გემის ფერდსა და კასრს შორის ჩაედგათ. ყუთს ხელებით მიაწვა, მაგრამ ძვრაც ვერ უყო. ახლა კასრს მიადგა და აქაც ვერაფერს გახდა.

რა გასაკვირია, რომ მოშივდა და მოწყურდა კიდეც. აბა რას იფიქრებდა, რომ ის

ლუკი, რომლიდანაც ტრიუმში ჩავიდა, მჭიდროდ იქნებოდა დაკეტილი და მოგზაურობის ბოლომდე ასე დარჩებოდა. ღიაც რომ ყოფილიყო, მის ხმას მაინც ვერ გაიგონებდნენ, რადგან ხმას გემის ფერდებს შეხლილი ტალღების ტლაშუნი დაფარავდა. ანდა საშველად ვისთვის უნდა დაეძახა? რა იცოდა ვინაა ეს ხალხი და რა სასჯელს დაიმსახურებდა მათგან.

სასოწარკვეთამ ისე შეიპყრო, რომ ზღვის ავადმყოფობისთვისაც კი არ მიუქცევია ყურადღება. გაოგნებული იჯდა და სიკვდილს ნატრობდა. დარწმუნებული იყო, რომ ამ ყუთებსა და კასრებს შორის მოკვდებოდა. მაგრამ, არც ზღვის ავადმყოფობა და არც სასოწარკვეთა, ასე ადვილად ადამიანს რომ არ კლავს? ზღვის ავადმყოფობას ერთი თავისებურება ახასიათებს: ამ დროს ადამიანი უფრო მადიანად ჭამს. ფუთაში კი ჰქონდა ცოტაოდენი ყველი და ორცხობილა, მაგრამ მას შიმშილზე მეტად სხვა რამ აწუხებდა. და ეს იყო წყურვილი – ფიზიკურ განსაცდელთა შორის, ყველაზე მძიმე და აუტანელი რამ. ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ წყლის უქონლობა ასეთი წამებაა. როცა უდაბნოში მოგზაურობასა და მეზღვაურების წყურვილით სიკვდილზე კითხულობდა, მათი ამბავი გამოგონილი ეგონა. საჭმელზე მიკარებასაც ვერ ბედავდა. იცოდა, რომ უფრო მოაწყურებდა. ტანტალოსის მდგომარეობაში იყო – წყალს ვერ ხედავდა, მაგრამ ხმა კი ესმოდა, რომელიც გემის ფერდებს ისე ეხეთქებოდა და თითქოს დასცინისო.

ამ სასოწარკვეთის წუთს, მის ყურს ისეთი ბგერები მისწვდა, რომლებმაც ყველაფერი დაავიწყეს. ეს, მოწყალე ანგელოზის ჩურჩულს ჰგავდა! ყურით, მუხის კასრს მიეყრდნო. სწორედ ამ კასრიდან მოისმოდა ის ხმა, ასეთი გარდატეხა რომ მოახდინა. მაშინვე მიხვდა: კასრში წყალი უნდა ყოფილიყო! სიხარულის შეძახილი აღმოხდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, კაცი რომ იხრჩობა და ბოლოს და ბოლოს, ნაპირს მიაღწევს. ხელებით, საცობს დაუწყო ძებნა. მაგრამ ის არსად ჩანდა. რა უნდა ექნა?

უცებ გაახსნდა, რომ ფუთაში პატარა ჯაყვა ჰქონდა! ეს გახლდათ ირმის რქისტარიანი, ჯიბის დასაკეცი დანა. სიხარულმა გონება გაუნათა. ამ დანით ხომ კასრის გახვრეტა შეეძლო? ჯაყვა გაშალა და მუხის კასრს მიადგა. დანა მშვენივრად ჭრიდა და მუხაც კარგად ემორჩილებოდა მას. ხე თანდათან იხვრიტებოდა. ალბათ საათზე მეტი იმუშავა. ნელ-ნელა ნახვრეტი სულ უფრო ღრმავდებოდა. ხელები უთრთოდა და გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. უკანასკნელი მოძრაობა და ნახვრეტინად წყლის ნაკადი გადმოეშვა. იმავე წამს ნახვრეტს მისწვდა და სიამოვნებით დაეწაფა. იქიდან კი უგემრიელესი, არომატული, ოდნავ ბლანტი და მოტკბო სითხე იღვრებოდა. რათქმაუნდა – ეს იყო კონიაკი!

გაოცებულმა, პირველი ყლუპი გადმოაფურთხა, მაგრამ მას შემდეგ რაც, წყურვილი მაინც მოიკლა, სიცოცხლის სურვილიც ისე დაუბრუნდა, როგორც არასდროს. ბოლოს დამშვიდაა, იქვე ჩამოჯდა და ნაფოტისაგან საცობის გამოთლა დაიწყო. გული უგრძნობდა, რომ გადარჩებოდა, არ მოკვდებოდა და ბედნიერიც იქნებოდა.

უცნაურია მაგრამ, ასეთ ნაცრისფერ ყოფაში, არავითარი წყენა მაინც აღარ ახსოვდა. მის არსებაში ბოროტებამ ფეხი ვერ მოიკიდა. და როცა იმათზე ფიქრობდა, ვინც ოდესმე აწყენინა, ებრალებოდა კიდეც ისინი. უფრო კი დედა ახსენდებოდა. მისი ხელების სითბო, ახლაც შემორჩენოდა მარგარიტას მეხსიერებას. ხმა და ღიმილი ხომ მის სულში სამუდამოდ იყო ჩაბეჭდილი. და როცა ძილ-ბურანში წინ, დედის სახე წარმოუდგებოდა ხოლმე, მუხლებზე უნდოდა დაცემულიყო და დახმარება ეთხოვა მისთვის.

უძილო ღამით ახსენდებოდა, როგორ ფუსფუსებდა ოჯახი სამზარეულოში და როგორ არიგებდნენ მას, ჭკუას. ისიც სიამოვნებით ეხმარებოდა მათ, კერძების მომზადებაში. ფქვილით ითხუპნებოდა, თასში რომ რჩებოდა. სუფრის გაშლისას კი, დანებსა და ჩანგლებს ლამაზად დააწყობდა ხოლმე მაგიდაზე. მერე, მამა რომ დაუძახებდა, სიხარულით მიჰქროდა ხოლმე მისკენ. ისიც, ლექსს ათქმევინებდა

და შაქარყინულითაც დაასაჩუქრებდა. მოფერება სიამოვნებდა და თვალებიც უბრწყინავდა ხოლმე. რა ბედნიერი დრო იყო მაშინ!

რაღაც ამდაგვარი ფიქრები უტრიალებდა თავში და ალბათ ამიტომ გაუჩნდა რწმენა, რომ გადარჩება და ეს გადარჩენა რაღაც სასწაული იქნებოდა. ამ ამბავში ღვთის ხელი ერია და ეს ხელი, სხვა დროსაც დაიფარავდა და განსაცდელსაც აარიდებდა. ხშირად, იმ მეჯლისზეც ფიქრობდა ხოლმე, რომელზეც ძალიან უნდოდა მოხვედრა და რომელზეც არასდროს ყოფილა. ჰოდა, ერთ მშვენიერ მთვარიან ღამეს, როცა ჩვეულებისამებრ წყურვილი მოიკლა, ჩაეძინა და ასეთი სიზმარიც ნახა:

ვითომ შუაღამეა. ირგვლივ მხოლოდ სანთლები ანთია. ოთახის შუაგულში ქვის აუზია, რომელშიც ნიმფებმა მარგო წითელი მოტკბო-მომლაშო სითხით აბანავეს და დიდი მწვანე ფოთლებით გაამშრალეს. უცებ ოთახში, საიდანღაც უზარმაზარი შავი კატა გაჩნდა, მარგარიტასთან მივიდა და ფეხები ღია ვარდისფერი ფეხსაცმლით შეუმოსა, რომელებსაც ოქროს შესაკრავები ჰქონდა. მერე ის სარკის წინ დააყენეს და თავზე ალმასებით მოჭედილი გვირგინი დაადგეს. შემდეგ ვიღაცამ მარგარიტას კისერზე, ოვალურ ჩარჩოში ჩასმული შავი პუდელის გამოსახულება დაჰკიდა და მარგომაც აუზიანი ოთახიდან სრულ უკუნეთში შეაბიჯა. ამ დროს კატამაც დაიჩხავლა და ირგვლივ ყველაფერი გაჩახჩახდა. შუქს ხმაური და ჭაობის სურნელიც მოჰყვა და უკუნი, სამეჯლისო დარბაზით შეიცვალა. სვეტებთან გაუნძრევლად, შავკანიანი მსახურები იდგნენ. მარგარიტა ამეთვისტოს ტახტთან მიაბრძანეს და მარჯვენა ფეხი, პუდელის გამოსახულებით მოქარგულ ბალიშზე დაადგმრევინეს. მის უკან კი შიშინით იფრქვეოდა შამპანური და აუზში ჩაედინებოდა. შაკვანიანი მსახურები ვერცხლის სასმისების ღვინით ავსებას შეუდგნენ. კატა მის მარხცენა ფეხთან მოკალათდა. დარბაზის სიღრმაში წარმოუდგენელი სიდიდის ბუხრი გამოჩნდა, რომლის ცივ და შავ ხახაში ალბათ თავისუფლად შეეტეოდა მთელი გემი. სადღაც გაისმა საყვირების ხმა და მეჯლისიც დაიწყო. უცებ ბუხარში რაღაცამ გაირახუნა და იქიდან სახრჩობელა

გადმოვარდა, ზედ ჩამოკიდებული ნახევრად დაშლილი გვამით, შემდეგ ეს გვამი ყულფს მოსწყდა, იატაკს დაასკდა და იატაკიდან შავთმიანი, წარმტაცი ყმაწვილი წამოდგა, ფრაკითა და ლაქის ფეხსაცმლით. ბოლოს, ყმაწვილი მოხდენილად ეახლა მარგარიტას, თავი დაუკრა, ხელი გაუწოდა და სცეკვაოდ გაიწვია.

რათქმაუნდა, ეს არ იყო იოლი მოგზაურობა. კასრების გარდა, გემის ტრიუმი სხვადასხა ზომის ყუთებითაც იყო დატვირთული. ცხადია, ოთხკუთხა ყუთებში წყალი ვერ იქნებოდა. ჰოდა, აი რას მიაგნო მარგომ იქ. მოდური ტანსაცმელი, თეთრეული, შამპანური ღვინოები, ორცხობილები და ბოლოს, სქლად შედედებული არაჟნით სავსე ქილები! ასეთი არაჟნისაგან ხომ მისი საყვარელი, პროვანსული ყველი მზადდებოდა. ახლაც ზეპირად ახსოვდა ეს რეცეპტი: ოთხად დაკეცილ მარლაზე არაჟანს დაასხამდა, გადაახვევდა და გასაწურად დატოვებდა. მერე თაფლით, თხილითა და ნიორით შეაზავებდა და ბოლოს, ქილებში გადაიღებდა და ცივ ადგილას შეინახავდა. ერთი სიტყვით, ის ამ არაჟნებს შორის, ბედის უსაზღვროდ მადლიერი იყო.

დღეები ერთმანეთს მისდევდა. თვითონაც ზუსტად ვერ გეტყოდათ, რამდენ ხანს ან საით იცურა. თუკი ყუთებზე აძვრებოდა, შეეძლო კიდეც საცერის ოდენა საჰაერო ჭრილებიდან გარეთ გახედვა. ასეთი, გემს სულ 19 ჰქონდა: ცხრა-ცხრა ორივე მხარეს და ერთიც უკან. და როცა მთვარიან ღამით, შორიდან თვალს მოჰკრავდა ხოლმე, რომელიმე გაჩახჩახებულ დასახლებას, სადღაც წაკითხულ იმ ქვეყანაზე ოცნებობდა, რომელსაც იოანეს კუნძულები ეწოდება და რომელზდაც სენტ-ჯონ-სიტადელია გაშენებული. ის ქალაქი, რომელიც ყოველივეს მოინელებს, არა სიავითა და ბოროტებით, არამედ სიკეთითა და ჯადოსნურობით.

მთელი ამ ხნის მანძილზე, ”არგო” მხოლოდ ორჯერ გაჩერდა, მაგრამ არცერთგან ტვირთი არ დაუცლია. პირველი გაჩერება, მთლიანად კლდოვან კუნძულთან მოხდა, რომელზეც ოქროსფერი ქვით ნაგები ქალაქი იყო გაშენებული, თითქოს პირდაპირ ზღვიდან, ოქროს აისბერგი ამოზრდილაო. ჯვრიანი ტაძრები აქ იმდენი

მაინც იყო, რამდენი დღეცაა წელიწადში. სულმოუთქმელად ელოდა ლუკის გახსნას, ნაპირზე შეუმჩნევლად რომ ჩაპარულიყო, მაგრამ იმ დღეს მსგავსი არაფერი მომხდარა. ნათელი იყო, რომ ეს გაჩერება დროებითა და არდე თუ გვიან გემი ნავსაყუდელს მიადგება.

”არგოს” გაჩერების მეორე ადგილი გახლდათ, უზარმაზარი წყლით ორად გაყოფილი ჭრელი ქალაქი. მათ შორის ზღვის ზედაპირი კი, მარმარილოსავით პრიალებდა. ქალაქის მარცხენა მხარეს, შემაღლებულ ალაგზე უზარმაზარი ტაძარი მოჩანდა, რომელიც მდიდრულ საქორწინო ტორტს მოგაგონებდათ. მის გარშემო კი, თითქოს ცამდე აზიდული უზარმაზარი შანდლები დაუდგამთო. გემი არც ამჯერად დაუცლიათ. აქ, მარგოს აი რა აზრი მოუვიდა თავში: ის მზად უნდა ყოფილიყო ნაპირზე გადასასვლელად. ამისათვის კი ცარიელი ყუთი ნამდვილი ხსნა იქნებოდა, რომელშიც დაიმალებოდა და ბედს მიენდობოდა.

ბოლოს როგორც იქნა, მესამე ჯერზე ”არგო” რომელიღაც პატარა ნავსადგურს მიადგა. მარგოს გულმა უგრძნო, რომ მისი მოგზაურობა აქ მთავრდებოდა. აქაური ზღვა იმდენად მუქი, მშვიდი და წყნარი იყო, რომ სადღაციდან ნათლად მოისმოდა ბაყაყების ყიყინი. დასახლება სოფელს წააგავდა. გეგმის მიხედვით მარგოს, წინასწარ ჰქონდა დაჭერილი თადარიგი. მოწესრიგებული მარგარიტა ცარიელ ყუთში იჯდა და ბედს მინდობილი, ორთვალით, რომელშიც კამეჩები იყვნენ შებმული, სადღაც მიემართებოდა. გაზაფხულის დილა თენდებოდა.

3 თავი

სიტყვას ”პროვინცია”, ხშირად კნინობითი მნიშვნელობით ვხმარობთ, მაგრამ გვავიწყდება, რომ მას განსაკუთრებული ხიბლი აქვს, რაც იქაურ ბინადართა სულიერ სისპეტაკეს მოწმობს. ზუსტად ასეთი იყო ის პატარა, ზღვისპირა ქალაქი, ”არგომ” ღუზა რომ ჩაუშვა. აი აქ, გემიდან გადმოტვირთულ ყუთებთან ერთად აღმოჩნდა მარგოც.

როცა ყუთები სადღაც შეზიდეს და კარიც გაიჯახუნეს, სიჩუმე ჩამოვარდა. მარგარიტამ, ერთ ხანს იცადა და ბოლოს ფრთხილად გამოძვრა სამალავიდან. ის, მოზრდილ საკუჭნაოში აღმოჩნდა, რომელიც სამზარეულოზე იყო მიშენებული. ხეირიანად არც იყო გათენებული, როცა მან სამზარეულოს სქელი ფარდა გადასწია და გარიჟრაჟის მკრთალი შუქით, ოდნავ განათებულ დარბაზში შეიჭყიტა. ეს, ცარიელი რესტორანი უნდა ყოფილიყო, ათიოდე მაგიდითა და მასზე თავდაყირა დამხობილი სკამებით. დარბაზის სიღრმეში კი, პატარა სცენა იყო მოწყობილი. ცდუნებას აყოლილი მარგარიტაც, მონუსხულივით იქით გაემართა და მტვრიან სცენაზე ავიდა. მერე თვალები დახუჭა, ღრმად ჩაისუნთქა და თავისდაუნებურად აცეკვდა. არავინ უწყის, რა ხანს ცეკვავდა ასე ან, თავს რომელ ზღაპარში გრძნობდა, ვიდრე უეცრად სინათლე არ აინთო და არ გაისმა:

– ანშანტე! ოღონდ, უფრო ნაზათ და ლამაზათ.

სუფთა ფრანგულით შემახილი, ეს სიტყვები ეკუთვნოდა ახლად გაღვიძებულ, ევროპულად გამოწყობილ, სიგარიან კაცს, რომელიც ღმერთმა იცის როდის ან საიდან გაჩნდა აქ. მარგარიტა გაოცებისაგან ადგილზე გაშეშდა. პირველი აზრი, რამაც თავში გაუელვა ის იყო, რომ სიზმარი დასრულდა და ახლა ისევ სახლში გაიღვიძებს. ამასობაში კი კაცი, ანტიკური ქანდაკებასავით გაქვავებულ მარგოს მიუახლოვდა, ხელზე აკოცა და ისევ სუფთა ფრანგულით განაგრძო:

– ო, ღმერთო ჩემო - ესმერალდა - როგორც იქნა!

ის მარგარიტას, როგორც – ინოჩენცო წარუდგა, რომელიც თურმე ამ კაბარეს მფლობელია, თავის მეუღლე – ალისასთან ერთად და რომ თურმე, სწორედ მათ გამოიწერეს პარიზიდან ეს ვინმე ესმერალდა, რომლის ასავალ-დასავალიც დღემდე ბნელითაა მოცული. მართალია მოგვიანებით, ამის თაობაზე ერთი ვერსია გაჩნდა, რომლისა პირადად მე სულაც არ მჯერა მაგრამ, მოკლედ მაინც კი მოგახსენებთ:

ვითომ, პარიზში მართლაც ყოფილა ასეთი მოცეკვავე, ვინმე ესმერალდა. მარტის ამინდივით ცვალებადი ხასიათისა, თავქარიანი და დროსტარების მოყვარული.

ვინ იცის რატომ, მაგრამ იმის მაგივრად, იმ დღეს მარსელში გამგზავრებულიყო და "არგოზე" ასულიყო, უკანასკნელ წუთს შერბურში აღმოჩენილა, თავის მოქეიფე მეგობრებთან ერთად. აქ, ინგლისიდან მომავალ სულ სხვა გემს უნდა ჩამოევლო თურმე, რომელიც ამერიკაში მიდიოდა. საუცხოო რამ ყოფილა ეს გემი, მანამდე არნახული სიდიდის, სწრაფი და მდიდრული. ჰოდა ესენიც ამ გემზე ასულან და დროს ტარება გაუგრძელებიათ. ბოლოს, ოთხდღიანი ცურვის შემდეგ, შუაღამისას გემი აისბერგს შეჯახებია და ჩაძირულა. თუმცა კი, იმ 2500 მგზავრიდან, ვითომ ხუთასი მაინც გადარჩენილაო. ჩვენც ისღა დაგვრჩენია, იმედი ვიქონიოთ, რომ იმათში ესმერალდაც ერია და ახლა ბედნიერად ცხოვრობს ამერიკაში.

შემდეგი შოკი, სწორედ ამ სახელის გაგონება გახლდათ მარგოსთვის. ეს ხომ მისი საყვარელი წიგნის გმირი იყო. სადაც ესმერალდა ახალგაზრდა ლამაზი გოგონაა, რომელიც პარიზელ ბოშათა უბანში ცხოვრობს და ფულს, გაწვრთნილ თხასთან ერთად ცეკვით შოულობს. მერე, ის პოეტს, მღვდელსა და ურჩხულს, ერთად შეუყვარდებათ. ყოველი მათგანი ცდილობს ესმერალდას სიყვარულის მოპოვებას, მას კი ოფიცერი უყვარს, რომელიც ჯერ იხსნი, ბოლოს კი მაინც დაღუპავს გოგონას. ვინ მოთვლის, რამდენს ოცნებობდა მარგარიტა – ესმერალდობაზე, ამ წიგნს კითხვისას.

ამასობაში კი, ინოჩენცო განაგრძობდა:

– ვიცი როგორი დაღლილიც ხართ, ძვირფასო. თქვენი ოთახი ზემოთ გელოდებათ. დაისვენეთ რამდენიც გენებოთ და როცა მზად იქნებით – შევუდგეთ. ანშანტე!

– დიახ – ძლივს ამოილუღლუღა ისევ სიზმარში დაბრუნებულმა მარგომ.

და კიბეს რომ აუყვნენ, უნდოდა ეკითხა სად ვარო, მაგრამ, საკუთარი თავი არ გავცეო, იფიქრა და მხოლოდ ესღა ჰკითხა, უფრო კი იმისათვის, პაუზა რომ შეევსო:

– კი მაგრამ, ვინ არიან აქაურები?

– აქაურები!? მსოფლიოში ულამაზესი რასაა. როგორც თავიანთ თავს უწოდებენ: ტუტუც-ვრაცი. ბინადრობენ კავკასიის მთებში. იკვებებიან მინდვრის ლობიოთი.

უმთავრესად, დასაქმებულნი არიან სისხლის აღებ-მიცემობით. ფულად ხმარობენ მარილს. აზნაურები, თავის თავს ერეკლეს უწოდებენ. მშობიარობისას სამ ხმაში მღერიან, ევროპელობაზე ოცნებობენ და ბოლოს: ჭკუას კარგავენ ფუტბოლზე, რომლის არაფერი გაეგებათ. ანშანტე! – ხარხარებდა ინოჩენცო.

მარგარიტა მყუდრო, ერთ სარკმლიან ოთახში აღმოჩნდა. თავი ჯადოსნური ზღაპრის გმირად წარმოიდგენდა. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, თითქოს იმ ცეცხლოვან ეტლს ეძებდა, რომელშიც წყვილი ფრთოსანი ქიმერა იყო შებმული, რადგან მხოლოდ მათ შეეძლოთ, იმ ჯოჯოხეთიდან აქ, ამ სამოთხეში მისი გადმოყვანა. იჯდა მაგიდასთან, რომელზეც სუფრა გაეწყოთ. გაფუებულ რბილ საწოლს კი, თვალს ვერ სწყვეტდა. მერე, თავის თავს სარკეში დიდხანს ათვალიერებდა, სინამდვილეს მაგრად რომ ჩასჭიდებოდა და მიწას არ მოსწყვეტოდა.

მაინც რა საოცარია, ნუთუ წიგნის გმირს მართლა შეუძლია გავლენა მოახდინოს მკითხველზე? თუკი, ავტორი სულაც თავის ჭკუაზე ატარებს გმირს, მაშინ გამოდის, რომ შეუძლებელიც კია, რომ ადამიანმა წიგნი წაკითხოს, შეიყვაროს და თანაუგრძნოს გმირს და ამან არანაირი გავლენა არ მოახდინოს მასზე. ეტყობა, ადამიანზე, ინფორმაცია მართლა ახდენს გავლენას. წიგნის გავლენა კი, ალბათ ყველაზე ძლიერია, რადგან წიგნის კითხვისას ადამიანის ყურადღება უფრო მეტად არის მიმართული საკითხავისკენ და მისი წარმოსახვაც უფრო აქტიურად მუშაობს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კითხვისას, მკითხველს ნებისმიერ დროს შეუძლია შეყოვნდეს, ჩაუღრმავდეს ამა თუ იმ ადგილს, დაუბრუნდეს წაკითხულს, დაუკავშიროს აღქმული თავის გამოცდილებას და იქნებ მომავლის მოდელირებაც კი მოახდინოს. ალბათ ამიტომაც ამბობენ: ყოველი ნორმალური მოთხრობის წაკითხვის შემდეგ, უფრო ჭკვიანი ხდებიო.

რათქმაუნდა, ინოჩენცო არ ტყუოდა. აქაურები სულ იმას ცდილობდნენ, როგორმე ევროპის კულტურულ ცხოვრებას არ ჩამორჩნოდნენ. ამას კი იმით

გამოხატავდნენ, რომ კაბარე გაეხსნათ, სადაც ფრანგი მუსიკოსები და მზარეულები მოეწვიათ. საღამოობით აქ ისხდნენ ხოლმე, ყავას შეექცეოდნენ და ევროპელობაზე ოცნებობდნენ. მთელი ეს პატარა ქალაქი, პირდაპირ გადარეული იყო აქ, ახლად გამოჩენილი ფუტბოლის გამო. ამ თამაშის უზომოდ მოყვარული ადამიანები კი, მზად იყვნენ ევროპის გუნდებთანაც კი ეთამაშათ და მათთვის საკუთარი უპირატესობაც დაემტკიცებინათ.

მოკლედ, მეორე დღიდან მთელს ამ პატარა ქალაქს, უცხოელი მოცეკვავე ქალი შეუყვარდა. ახლა, კაბარეში უფრო მისი ეშხით მოდიოდნენ, ვიდრე ევროპულ ცივილიზაციასთან ზიარებისთვის. მაგრამ საკმარისი იყო, ცეკვის დროს ქალს, კაბა აფრიალებოდა და ნიფხავი გამოჩნოდა, რომ ყველა მორცხვად ხრიდა თავს. შეცბუნებული თვალებიდან კი, პროვინციელობასთან ერთად, ალალი გულუბრყვილობაც იღვრებოდა.

საკმაო დრო გაატარა ამ პატარა სამოთხეში მარგარიტამ იმისათვის, რომ ტუტუც-ვრაცულ დიალექტს დაუფლებოდა. არც ფული მოჰკლებია და არც თაყვანისმცემელი. ამ საქმეში კი, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი, ერთმა ახოვანმა, წამოსადეგმა მამაკაცმა. სახელი კი მისი იყო იასონი, როგორც ეს ერთ ცნობილ მითშია, სადაც ის ოქროს საწმისის მოსაპოვებლად, ისეთივე ”არგოთი”, სწორედ ამ მხარეში, გამოისტუმრა მეფე პელიასმა, როცა ორაკულმა მას ავი ბედი უწინასწარმეტყველა: იმ კაცის მზაკვრობას შეეწირები, ვინც ქალაქში ცალი სანდალით შემოვაო. და წინასწარმეტყველებამაც არ დააყოვნა: ერთხელ, ადიდებული ანავროსის გადალახვისას, იასონმა ცალი სანდალი დაკარგა და ქალაქში ასე შევიდა. დაინახა თუ არა ეს მეფემ, უმალ გადაწყვიტა მისი, ზღვებს გაღმა, სახიფათო მოგზაურობაში გაგზავნა, რადგან იმედოვნებდა, რომ შორეულ მხარეში იასონი რაიმე უბედურებას გადააწყდებოდა და უკან ვეღარასოდეს დაბრუნდებოდა.

ჰგავდა კიდეც, იერით იასონს ეს კაცი, მაგრამ საწმისისა რა მოგახსენოთ, მისი

გული, გონება და სული სულ სხვაგან იყო. რაღათქმა უნდა ეს იყო ფუტბოლი! წარმოიდგინეთ, მარგარიტას სიყვარულს რომ ეფიცებოდა, მაშინაც კი დაცვასა და თავდასხმაზე ფიქრობდა. ჰოდა, საღამოობით ასე მოსეირნობდნენ ხოლმე იმ მდინარის პირას, რომელიც აქ ზღვას ერთვის და რომელსაც ევროპა-აზიის გასაყარად მიიჩნევს ისტორიის მამა.

– ეს მზე თქვენთვის ანათებს! – ბობოქრობდა, ევროპულად გაპრანჭული იასონი.

– თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ რა არის სიყვარული – კეკლუცობდა მარგარიტა.

– მერედა, თქვენ იცით რა არის ნამდვილი სიყვარული?

– რა არის?

– საგმირო საქმეები!

– საგმირო საქმეების ჩადენა?

– დიახ!

– როგორ გამაცინეთ.

– მე არ მიყვარს ტყუილუბრალოდ ლაპარაკი!

– და როგორ დამიმტკიცებთ სიყვარულს?

– როგორ?

– აი დაიჩოქეთ ჩემს წინაშე და დაგიჯერებთ.

– ჩორთ იო ზნაეტ, რასაა რო მიპირობს ეს ქალი!? – დაიჩოქა იასონმა.

– ვიხუმრე იასონ, ადექი. არ ვარ შენი ღირსი.

– მაგას არა აქვს მნიშვნელობა.

– მე ერთი თავქარიანი ქალი ვარ, ნერვებ აშლილი ქალი.

– მე ყველაფერზე თანახმა ვარ.

– მაშინ მეც თანახმა ვარ.

აჰ, დაუვიწყარია პირველი კოცნა! ეს არის უცნობი შიში და მისი გამოცდის სურვილი, როცა გრძნობ კავშირს სხვა ადამიანთან – იმაზე ახლოს, ვიდრე ეს წარმოგიდგენია. პირველი კოცნა ცნობისმოყვარეობის ყველაზე გულწრფელი გამოვლინებაა. ის, თამაშივით იწყება და ერთგვარი სიფრთხილეც თან ახლავს.

პირველი კოცნა არის მცდელობა, მიუახლოვდე ჯერ არნახულს. ის გაძლევს სრულყოფილების განცდას, თითქოს საკუთარ თავში აქამდე უცნობი ნიჭი აღმოაჩინე და მართლაც უბედურია ის ადამიანი, ვინც ამ ნიჭის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან.

ბოლოს იასონმა, მარგარიტას გულისათვის ცოლ-შვილიც კი მიატოვა, მაგრამ ერთ რამეს მაინც ვერაფერი მოუხერხა. რათქმაუნდა, ისევ და ისევ ფუტბოლს! ასე რომ მარგო, თუ შეიძლება ასე ითქვას – მაინც თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამას კი, აბა რომელი, თუგინდ ევროპელი ქალი შეეგუება? მართალია, იასონის ნაჩუქარ ბრილიანტის ყელსაბამზე უარის თქმა ძალიან ძნელი იყო, მაგრამ მარგომ მაინც გადაწყვიტა, წინ – ცივილიზაციის ცენტრებისაკენ განეგრძო გზა. მშვენივრად გრძნობდა, რომ დიდი მომავალი აქვს და ერთი პროვინციიდან იმიტომ არ გამოქცეულა, რომ მეორეში დასრულოს ცხოვრება.

სწორედ იმ საღამოს, იასონის გუნდი რომელიღაც ევროპულმა ფუტბოლის კლუბმა, მიწასთან რომ გაასწორა და ამის გამო ტრაურში ჩავარდნილი იასონიც რომ გაუჩინარდა, მოკრიფა მარგარიტამ თავისი გუდა-ნაბადი და მას მერე, ის ამ არემარეზე აღარავის უნახავს. მარგო, ელიტოპოლის მატარებელში იჯდა და აღმოსავლეთით მიჰქროდა. ობერკონდუქტორს ტრიფონი ერქვა.

4 თავი

დაე ეს სასწაულად ჩანდეს, მაგრამ ყველამ ხომ კარგად იცის, რომ სასწაულები სულ ხდება. ვინმე იტყვის კიდეც, რომ ეს საბავშვო ზღაპარია. შესაძლოა. თუმცა მარგალიტა ბავშვი აღარ იყო, მაგრამ განა ზღაპარი მხოლოდ ბავშვის გულისკენ მიმავალი გზაა, მაშინაც კი თუ ეს ბავშვი უფროსში იმალება? სინამდილეში, ზღაპარი ხომ სიკეთის მშობელი და სიცრუის მტერია. განა ნამდვილ ზღაპარს უფრო მეტის გაკეთება არ შეუძლია, ვიდრე მთელს ერთ აკადემიურ კურსს, რომელიმე დისციპლინაში?

ეს ობერკონდუქტორიც ისეთი საყვარელი იყო, რომ ნამდვილ ალპურ დათვს მოგაგონებდათ. და მარგალიტასაც თავიდანვე თვალში მოუვიდა ტრიფონი, მის მკერდზე ჩამოკიდებული, წმინდა პორფირეს გამოსახულების დანახვაზე რომ წითლდებოდა. ის მართლაც დათვს ჰგავდა: დიდ და საყვარელ დათვს – სევდიანი და კეთილი თვალებით. და უცებ, ყველაფრისაგან უზომოდ დაღლილ მარგოს, სულ გადაავიწყდა ცეკვა და საოცრად მოუნდა, საჭმლის მომზადება, იატაკის მორეცხვა და ბავშვების მოვლა.

ქალაქი, რომლშიც მარგალიტა აღმოჩნდა, პატარა მდინარით, შუაზე ორად იყო გაყოფილი, რომლიც უფრო მოსიარულე წყალს ჰგავდა. აქაური სახლებიდან მუდამ გიტარის კვნესა ისმოდა. ღობის ძირას ღორები სამყურას გლეჯდნენ. ვენახებით დატვირთულ ამ ქალაქში ნახევარი მოსახლეობა მთვრალი იყო, მეორე ნახევარი – კიდევ უფრო მთვრალი. დიდთოვლობისას მგლები ტყიდან ტყეში, ქალაქის ქუჩებით გადადიოდნენ. აქაურებს სჯეროდათ მკითხავების, ჭინკების და რომ, ლობიო მესამე წყალში იხარშება. თავისუფალ დროს, თავის ტკივილს ანდომებდნენ. ქუჩებში ისეთი სიჩუე იდგა, რომ პეპლის ხმას გაიგონებდით და ყველა დღე უქმეს ჰგავდა.

აქ რომ ჩამოვიდნენ მარგალიტამ, ტრიფონის გვარი გაიზიარა. იშოვეს 1225 აგური, ფუთნახევარი ლურსმანი და სახლი ააგეს. დაიწყეს სასიამოვნო და ტკბილი ცხოვრება. მარგოს, ერთ ხანს ვარდის სურნელება ასდევდა და ტრიფონიც ვერ ტკბებოდა მისი ყნოსვით. მერე ნელ-ნელა ვარდის სურნელიც სადღაც გაქრა და მასთან ერთად, ის ერთგვარი უხერხულობაც და გაკვირვება, რომელიც გამოიწვია ტრიფონში მარგალიტას გამოჩენამ.

“ეს რაფრა გამომყვა მე?” – ფიქრობდა ტრიფონი, როცა იმ პატიოსნად ნაშენი სახლის ეზოში, მარგო მას ჩითის ნაჭერს აკერებდა იქ, სადაც ზურგი მთავრდება და ფეხები იწყება. ობერკონდუქტორი კი, რკინიგზელის ფარანში ნავთს ასხამდა.

– წავედი ახლა – წაიღო ძაფი ობერმა.

– მაცალე – თქვა მარგალიტამ, სახე მეუღლის შარვალს დაუახლოვა და ბროლის კბილებით ძაფი გადაკვნიტა. შემდეგ ფეხზე წამოდგა, მეუღლეს შემოუარა, სათვალის მინები დაუორთქლა და ჩვრით გაუწმინდა. ბოლოს, ლამაზ სახეზე სათვალე მოარგო და გაუღიმა.

– მაგვიანდება – თქვა ტრიფონმა და ნაბიჯი გადადგა.

– მოიცადე – მოანახია ფოკუსში თავის მარგალიტამ.

შორიდან ორთქმავლის კივილი მოისმა.

ტრიფონმა თავი სადგურისკენ მიაბრუნა და ცოლს უთხრა:

– აბა, შენ იცი, მარტო რჩები. ახლა ქალიც შენა ხარ და კაციც.

– უი, რა დაგავიწყდა!? – და მარგალიტამ წმინდა პორფირეს ყელსაბამი მიუშვირა ტრიფონს, რომელმაც ამბორთან ერთად, კიდევ ერთხელ ჩაყლაპა ვარდის სურნელი და როგორც დათვი, ტყეში გაუჩინარდა.

მზე არქიელის გორას გადასცდა, მატარებელი კაკუნით ჩაგორდა ვაკეში, სირბილს უმატა, ერთი გამოჩნდა მდინარის პირას და ბროწეულებში დაიკარგა. დაღამდა. აგრილდა. მხოლოდ სახლის კედლებსღა შემორჩა დღის სითბო. ცაზე ვარსკვლავები აინთო. ისევ მარტო დარჩა მარგალიტა.

თაფლობის თვის დღეებივით მისდევდნენ დღეები ერთმანეთს. ბოროტი ხმები ამბობდნენ, ტრიფონის არყოფნაში მარგალიტას, ქალაქის სიამაყე ნოშრევანი, მდიდარი ვაჭარი გეო, თუ – ღმერთო მაპატიე – მამაო ამბროსიც კი სტუმრობენო. მართალია ევროპის კარი ყოველთვის ღიაა, მაგრამ ცილს ტყუილად მაინც ნუ დავწამებთ საბრალო მარგოს. ერთადერთი ვინც მასთან მართლა მოდიოდა, ტელეგრაფისტი ღერონტი იყო: თორმეტი-ცამეტი წლის პირტიტველა ყმაწვილი, დაჭმუჭნული ცხვირსახოცით იისფერ ცხვირს რომ იხოცავდა. ზრუნვას გადაჩვეული თმა შუბლს უმალავდა და ბეჭები და ზურგი სულ ქერტლით ჰქონდა დაფარული. ის უფრო შვილად ერგებოდა მარგოს და მას, ისევ ტრიფონისაგან გამოგზავნილი დეპეშები მოჰქონდა:

”ვირიფსელა ადიდდა.
მოაქვს ხეები, აკვნები, ვარდენ ყიფიანები.
ვდგევარ. პრტკილად იკავი.
მარდჟვენა ტვალი ტამაშობს.
მუდამ შენი ტრიპონები.”

გადიოდა დრო. ჩვენი ცოლ-ქმარი კმაყოფილი იყო. ვალი ამათ არ ემართათ და ვახში, დავა არავისთან ჰქონდათ და დარაბა. მხოლოდ ერთი ჯავრი ედოთ გულში: შვილი არა ჰყავდათ. ბოლოს, მარგოს მობეზრდა ასეთი ცხოვრება, რამაც ეტყობა ერთ მშვენიერ ღამით დაასიზმრა, ვითომ:

ის, ჩვეულებრივ სახლში მარტოა. უცებ კარზე ურდული აგრუხუნდა, კარი თავისით გაიღო და ოთახში გაბურძგნული ანგელოზი გამოჩნდა.
”აუ, ამას ტილები ეყოლება, ცოცხით სახვეტი” – გაიფიქრა მარგომ.
– დაე, დაიმსხვრეს ყველა ქნარი, ჰანგი მაინც იჟღერებს! – გაისმა ანგელოზის ხმა.
– ახლა მიტირეთ ხმამაღლა – წაიჩურჩულა მარგალიტამ და სკამზე, მოცელილივით დაეშვა.
– სიყვარულის მატარებელი შენს სადგურზეც ჩამოდგა!
– საწყალო ტრიფონია – მატარებლის გაგონებაზე გაახსენდა მარგალიტას – ვინ დაგისხამს წყალს? ვინ წაგისვამს საპონს? ვინ გიტირებს აწი?
– მოკრიფე, თუ რამე გაქვს და გავფრინდეთ აქედან, შორს!
– შორს? – გული შეუღონდა მარგალიტას.
გონს რომ მოეგო, სიყვარულის მფრინავ მატარებელში აღმოჩნდა, რომელიც ჰაერში ლივლივებდა. ის სულაც არ ჰგავდა მატარებელს, არამედ უფრო – ურემს, ზედ მიმაგრებული ნაფოტებით, უზარმაზარი ქვაბითა და ფრთებზე გადაჭიმული ხარის ტყავით. ოღონდ მფრინავის ადგილას პილოტი კი არა, შავი, გრძელნისკარტიანი ჭილყვავი იჯდა, მუშამბის ქუდითა და ტყავის ხელთათმანებით. ის ის იყო, სიყვარულის მფრინავი მატარებელი უნდა

დაძრულიყო, რომ ქვემოთ, ეზოში ტრიფონი გამოჩნდა, რომლის ზურგზეც უზარმაზარი ტომარა სუნთქავდა.
– აჯაფსანდალი მოხრაკული საჭმელია, რომელიც მზადდება ბადრიჯანის, ოქროს ვაშლის, ანუ პამიდორის, ანუ კარტოფილისაგან – თავისთვის იმეორებდა ტრფონი, შირაზის შავი ცის ქვეშ ნასწავლ რეცეპტს, რომ არ დავიწყებოდა.
ხმაურის გაგონებაზე, მან ტომარა ძირს დაუშვა, მაღლა აიხედა და მარგალიტას, უბიდან ამოღებული შავი ქვა შეავედრა:
– მოლა ვნახე. ამ ქვას აკოცოსო, ერთად დაწექითო, ბიჭი გეყოლებათ და სამუელი დაარქვითო.

მაგრამ მარგარიტა უკვე შორს იყო. გაქრა ქალაქი, მდინარეც, თეთრი ხიდიც და სიყვარულის მფრინავმა მატარებელმა გეზი მთვარისაკენ აიღო. მისი ზომიერი თუხთუხი თვლემას ჰგვრიდა მარგოს, მთვარის შუქი კი სასიამოვნოდ უთბობდა სხეულს. თვალებმილულულს, მთვარისთვის მიეშვირა სახე და უცნაური ნაღველით ფიქრობდა ახლახან მიტოვებულ, მისთვის უკვე უცხო კერაზე რომელსაც, გრძნობდა რომ მეტად ვეღარასოდეს ნახავდა. ამ საღამოს მომხდარი ყველა საოცრებისა და სასწაულის შემდეგ, უკვე აღარაფრის ეშინოდა და უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რაც უნდა გაეკეთებინა.

უცნაურია, მაინც რა არის სიზმარი, როდის და რატომ ვხედავთ მას, ან შეიძლება თუ არა სიზმრების კონტროლი და წინასწარმეტყველება? ეს კითხვები, თავსატეხია დღესაც და პასუხიც არავინ უწყის. იქნებ, სიზმარს არავითარი ახსნა არ მოეპოვება? ან იქნებ, სიზმარში ფანტაზია წარმოადგენს იმას, რის მიმართაც ვართ განწყობილი. ანდაც, შეიძლება პირიქით, ის დაგვესიზმროს რაც გვაწუხებს, გვაღელვებს და რისი შიშიც გვაქვს. ან რატომაა სიზმარი, ადრეული კინოსავით მხოლოდ მუნჯი და შავ-თეთრი? იქნებ სიზმრები, იმ გაუცნობიერებელ, ხორციელ თუ სულიერ სურვილებს გვისრულებენ, რომლებიც გონებაში ღრმად გვაქვს ჩაჭედილი და ხშირად ამას, ვერც ვხვდებით.

სამწუხაროდ იმ დროისათვის, არანაირი მფრინავი მატარებელი ჯერ გამოგონილი არ იყო და უკვე მერამდენედ, შინ მარტო დარჩენილ მარგოსაც ისღა დარჩენოდა, ისევ ჩვეულებრივი მატარებლით დაეღწია მარტოობისათვის თავი და კიდევ უფრო წინ და უფრო დიდი ცივილიზაციების ცენტრებისკენ განეგრძო გზა. ჩვენ კი ჩავთვალოთ, რომ ასე აუხდა მას, თავისი იმდღევანდელი სიზმარი.

5 თავი

ვერაფერი შეედრება მატარებლით მგზავრობას. არის ამაში რაღაც განსაკუთრებული და ეს პროცესი თითქოს არაჩვეულებრივი, აქამდე უცნობი მოლოდინით აღგავსებს და რაღაც მოულდნელ სიურპრიზსაც გპირდება, მითუმეტეს თუ ვაგონში ისეთი ხალისიანი საზოგადოება შეიყარა, როგორიც აქ: ვინმე წითელმუნდირიანი, ჯინჯილებიანი გენერალი; მისივე შავგვრემანი დროშისმტვირთველი – სახეზე უზარმაზარი ხალით; თავსაფრიანი ელამი ქალბატონი; მტრედებივით მოღუღუნე, მომხიბვლელი ნორჩი წყვილი და კიდევ ვიღაც ღიპიანი, რომელიც სულ რაღაც ბრილიანტს მისტიროდა. ესენი თურმე, პარიზიდან ბრუნდებოდნენ და ერთი სული ჰქონდათ მგზავრობის დასრულებამდე. ამათი მოსმენა კი, ერთ რამედ ღირდა – მთელი გზა, ნამდვილად არ მოიწყენდით.

– ეჰ, როდის დავეწევით ევროპასა? – ამოიკვნესებდა შავგვრემანი.

– სამასი წლით ჩამოვრჩებით, დიახ სამასითა! – განუმარტავდა გენერალი.

– ვაჰ, ჩემო ტფილისო! – მოსთქვამდა ისევ ხალიანი.

– კარგი რაღა, შე ოხერო შენა – ტუქსავდა ჯინჯილებიანი.

– ჩემო ხარფუხო, ბაჩანას ტუპიკო…

– კი მაგრამ, რად გიყვარს რვაჯერ დაქცეული ის ტფილისი, რად?

– რად მიყვარს!? სისხამ დილით მუთაქას თავს რომ წაართმევ, არაყს პირში გააჟღარუნებ, მუცელში რომ დაჰყეფს და გარეთ ნამესტნიკივით გამოგაბრძანებს. იქვე, კარებთან რქებით გადაჭდობილ ორ ცხვარს რომ გადაევლები და ქვევით

დაეშვები. სამჭედლოდან გამოფრენილი, პირველი ნაპერწკალი ლოყაზედ რომ გიბწკენს. გოშუას ღობიდან, ძაღლი ყურში რომ ჩაგყეფს და არაყს ტვინში ზახრუმალას ეტყვის. ორბელიანის ფანჯრიდან, დამრგვალებული კამათელი ცალად რომ გამოფრინდება, დანამულ შუბლზედ გაიწკრიალებს და ფეხებთან შაშად რომ დაბრძანდება. ლოკოკინის, წუხანდელ ჭრელ ნაკვალევს ფრთხილად რომ გადააბიჯებ, არ წაშლი და იქვე ლურჯ ტალახში, შავ ღორს ცხრა მტკაველ წიხლს რომ ამოჰკრავ, გააღვიძებ და "ზდრასტის" რომ ეტყვი. ციციანოვის დაღმართზე, ლურჯჩოხიანი კნიაზი, ფაეტონიდან კისერში რომ ჩაგაფარებს…

– და, და! გემრიელურად რომ ჩაგაფარებ!

– მერე წყაროს რომ ჩაუვლი და არბოშიკის ქუჩისკენ გადაუხვევ…

– ა ნაშა ტამრიკო ტაკაიშვილი, ფანჯარაში თმებს იშრობს, ნუგას მიირთმევს და ლიმანადსა სვამს.

– სოლოლაკიდან წამოსული წყალი, ქვაზე ქალის თმასავით რომ გადაიშლება…

– შვილებო, უთხარით მაგ ტუტუცს: შესწვას მწვადი და პირდაპირ საქმეზედ დაგავიდეს.

მაგრამ ამათ, აბა ამისათვის სად ეცალათ? ისინი შორის ალერსით იყვნენ გართულნი და ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდნენ:

– ო, რარიგ მწყურია ალერსი შენი!

– შუქურ-ვარსკვლავო ჩემო, გამაგონე შენი ხმა ნარნარი!

სამაგიერიდ, ელამ ქალბატონს ეცალა ყველასთვის, ქოქოლას არავის აკლებდა და გაიძახოდა: გლუხს მი ტარა – ლუპუსტაც !

მაინც როგორი იყო, რვაჯერ დაქცეული ის ქალაქი? თითქოს ევროპული, მაგრამ მაინც აზიური, თუ პირიქით. ვიწრო და დაკლაკნილი ქუჩებით, არაჩვეულებრივი აღმოსავლური ქარვასლებით, რომლებიც ურმებით, აქლემებითა და ვირებით იყო გარშემორტყმული. უცნაურად გამოწყობილი დერვიშებით, უსტაბაშებით, ვაჭრებითა და მუშტრებიბით, რომლებიც ერთმანეთში ირეოდნენ.

ტფილისმა იმწამს, ანდამატივით მიიზიდა მარგარიტა, რაწამს მან აქაურ მიწას

ფეხი დაადგა. ის, დასახლდა სასტუმროში რომელსაც „გრანდ ოტელი“ ეწოდება და ალექსანდრეს ბაღისკენ მდებარეობს, სწორედ რომ სასტუმრო ”ლონდონის” მოპირდაპირედ. აქედან დასავლეთით კი, "სალდათის ბაზარი" იყო, სადაც აფრებივით გაჭიმულ ტილოებ ქვეშ, ერთმანეთზე მიწყობილი პატარა ფარდულებში, ვაჭრებისა და ხელოსნების, ჭრელი და მხიარული ცხოვრება დუღდა. სუნელებისა და ხილ-ბოსტნეულის მაღაზიებიდან კი, საოცარი სურნელი გამოდიოდა.

გარდა სამხრეთ-აღმოსავლური ხიბლისა, ქალაქს თითქოს რაღაც მისტიკურიც ეცხო. რაღა შორს მიდიხართ: სასტუმროში, მარგო რომ დასახლდა, მის ჩამოსვლამდე რამდენიმე ხნით ადრე, ერთი ქალი მოუკლავთ. მოკლული ახალგაზრდა და ძალიან ლამაზი ევროპელი ქალი ყოფილა, რომელზეც ევროპაში ლეგენდებს ჰყვებოდნენ თურმე. მძინარე ქალი, ერთ ხალგაზრდა ვაჟს, რევოლვერით მოუკლავს. მერე წერილები დაუწერია – სასტუმროს პატრონის, მოკლულის ქმრისა და შვილისათვის და ბოლოს თვითონაც მოუკლავს თავი. ამ ყველაფერს კი, თურმე მოკლულის 5 წლის შვილი უყურებდაო. ამ შემთხვევას ყველა აუფორიაქებია და დიდი ხანი ვერც დევიწყებინათო.

ანდა ჰოი, სულაც საოცრებავ: ღია ცის ქვეშ მჯდომიარე მლოცველი გოგონა, რომელიც თურმე უკვე 4 წელია ასე ლოცულობს, მშიერ-მწყურვალი, ქარსა და წვიმაშიო. ამასაც დედა პატარა ასაკში გარდაცვლია და დედინაცვალი ზრდიდაო. ძალიან მორწმუნეც ყოფილა და სახლთან ახლოს, იმ ეკლესიაში, აბანოდ რომ გადაკეთდა, გალობდაო. მშვენიერ გოგოს ბევრი თაყვანისმცემელიც ჰყოლია, მაგრამ მას ერთი ოფიცერი ჰყვარებია, რომელზეც დანიშნულა კიდეც. ბოროტ დედინაცვალს, ეზიზღებოდა თურმე გერი და არც მისი ბედნიერება სურდა. ოფიცერი ომში რომ გაუწვევიათ და მათთან გამოსამშვიდობებლად რომ მოსულა, ეს გოგო ეკლესიაში ყოფილა, დედინაცვალს კი მისთვის უთქვამს: განშორებას ვერ გაუძლო, ჭკუიდან შეიშალა და საგიჟეთში წაიყვანესო. ვაჟსს იარაღი ამოუღია და იქვე მოუკლავს თავი. მობრუნებულა სახლში გოგონა და საქმრო მკვდარი რომ

დაუნახავს, დაცემულა მუხლებზე და ამ დღიდან მოყოლებული აღარც განძრეულა და ასე განუწყვეტლივ ლოცულობს, უკვე მეხუთე წელიაო.

ან კიდევ, უფრო დაუჯერებელი ამბავი: ქალაქში, ვიღაც თეთრი ეშმაკი ცხოვრობსო, რომელიც თურმე 300 წლისაა, თვითონაც უკვდავია და მიცვალებულის გაცოცხლებაც შეუძლიაო. ოღონდ კი ვერც მიხვდები, ისე ჩვეულებრივ გამოიყურება, მოდაზეც აცვია, მოხდენილი სპარსული ულვაშიც აქვს და ვითომც აქ არაფერია – საკუთარი ხელით ნაკეთი, თაბაშირის ფიგურებით ვაჭრობსო. და კიდევ ვინ მოსთვლის რას აღარ ჰყვებოდნენ აქურები.

მარგარიტას სასტუმროს ფანჯრები, იმ ალაგს გადმოჰყურებდა, სადაც მდინარე ორად იყოფა და პატარა კუნძულს წარმოქმნის, რომელსაც მადათოვი ეწოდება. უცნაური რამ იყო ეს კუნძული. ძალიან პატარა იმისთვის, რომ ზედ ვენახი გაეშენებინათ, მაგრამ საკმაოდ დიდი, ზედ რომ ნაგავსაყრელი ყოფილიყო. აქვე ერთი, ყოვლად ბინძური ტყავის წარმოებაც გაემართათ, რომელის საკვამლურიდან ამოსული ჭვარტლი, სასტუმროს ფასადსა და კედლებს ეფინებოდა. საამქროდან მოშორებით კი, ორიოდე უბადრუკი ფარდულიც იყო. და ბოლოს იმასაც ამბობდნენ, ერთხელ აქ, პოლიციას მოკლული მხატვრის გვამიც უპოვნიაო.

მდინარის გადაღმა, კი უმშვენიერესი ბაღი იყო გაშენებული, სახელად მუშტაიდი, რომელშიც მდებარეობდა კაფე "ბელე ვუ", სადაც დაიწყო მარგარიტამაც ცეკვა. ამბობდნენ, ეს მშვენიერი ბაღი, ერთ სპარს დიდგვაროვანს – მუშტაიდს გაუშენებიაო, რომელსაც ცოლად ულამაზესი ქართველი ქალი ჰყოლია, რომელიც სტამბოლის ტყვეთა ბაზარზე უყიდიაო. სწორედ მისი თხოვნით დაბრუნებულან საცხოვრებლად ტფილისში. მაგრამ ქალს, მშობლები დარდისაგან გარდაცვლილი რომ დახვედრია, თვითონაც ავად გამხდარა, დიდხანს აღარ უცოცხლია და ისიც დარდისაგან გარდაცვლილაო. საყვარელი მეუღლე, მუშტაიდმა სახლის წინ დაკრძალა თურმე. საღამოობით დიდხანს იჯდა ცოლის საფლავთან და ასე

გლოვობდა საყვარელ მეუღლეს. თან, საფლავის ირგვლივ ვარდებს რგავდა თურმე, ვიდრე მათმა რიცხვმა მილიონს არ მიაღწია. მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნებულა სპარსეთში და ისე გაუსრულებია თავისი წუთისოფელი, ცოლი აღარც შეურთავსო.

ეს აფიშაც, სწორედ ამ ბაღის შესასვლელთან გამოჩნდა, ერთ მშვენიერ დილას:

”ლეტნი კაფე ბელე ვუ.
18 აპრილიდან
კონცერტი სტოლით.
ეშხიანი პოლონელი ტამარა,
კლოუნი დობრიაკოვები,
შანსონეტკა გრომოვა,
ინჟენიუ შტეფი ტიროლი,
დუეტისტი ვოსტორგოვები,
ტურფა მადმუაზელ რუბერტი,
სუბრეტკა კოსმატოვა და
კრასავიცა აკტრისა მარგარიტა.”

მეორე დღიდან მარგარიტას, უკვე ყველა აკტრისას ეძახდა. თვითონაც კმაყოფილი იყო, წარმატებაც ჰქონდა, არც ფული აკლდა და რათქმაუნდა, არც თაყვანისმცემელი. ერთ მშვენიერ საღამოს, როცა წარმოდგენა დამთავრდა, ვიღაც თეთრპერანგიანი, შავი შლაპითა და ალისფერი ვარდით ხელში, მსახიობთა გამოსასვლელთან დახვდა მარგარიტას. მარგო, დობრიაკოვებთან ერთად, სიცილ-კისკისით გამოვიდა თეატრიდან და თვალი შეავლო წარმოსადეგ კაცს.
– როგორც ღმერთისთვის საუკუნე ერთი წამია, ისე მიიღეთ ეს ვარდი, ერთი – მილიონად! – ყვავილი გაუწოდა უცნობმა აკტრისას.
– აჰ! – აღმოხდა მარგოს და ყვავილი ისე ჩამოართვა, თითქოს ერთი კი არა მართლა მილიონი ყოფილიყოს.

– მე მხატვარი ვარ – წარმოსთქვა კაცმა – თქვენი პორტრეტი მინდა დავხატო…

რაღაც ბავშვური უშუალობით, ნათქვამმა ამ სიტყვებმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მარგოზე რომ, მიუახლოვდა მხატვარს და თვალებში ჩახედა:

– დამხატეთ – და უფრო თანმხლებთა გასაგონად, თითქოს თავი იმართლაო, დაამატა – აფიშისთვისაც დაგვჭირდება.

– ჰმ, რაღა დროს ნახატი აფიშაა?! – ქედმაღლურად იუარეს დობრიაკოვებმა.

– რატომ? – გაიოცა მარგარიტამ და შემდეგ დაამატა:

– დამხატეთ, ოღონდ ჯერ ჩვენთან წამოდით, თითო შამპანი დავლიოთ!

ბოლოს გაუცინა, პადრუჩკი გამოსდო და იქვე რესტორნისკენ წაიყვანა, რომელსაც ”სამ პრიშოლ” ეწოდება. მაგიდას მიუსხდნენ თუ არა, მხატვარმა მენიუს გადაავლო თვალი, რომელიც ამბობდა:

”გვაქ ფრანგული შამპანი,
მაყაშვილის ღვინო,
მახავსკოის არაყი,
მონასტრის კვასი
და ჩაი.”

– რას მიირთმევთ? – თავაზიანად იკითხა მხატვარმა.

– ო, დღეს თქვენ ხართ ჩემი სტუმარი! – შეაწყვეტინა აკტრისამ – იყოს შამპანი?

ოსტატმა თავი დაუქნია და იქვე მდგომ ოფიციანტს ჩასჩურჩულა:

– ანგარიში მე მომიტანე

– კი ბატონო, ჩემთვის სულერთია.

– რაო, რა უთხარით? – თვალი თვალში გაუყარა მარგარიტამ.

– ვუთხარი, რომ თქვენ ულამაზესი ხართ, მთელს ქვეყანაზე ვინც კი ოდესმე მინახავს.

– ბრავო! – გადაიხარხარეს დობრიაკოვებმა.

– თქვენ ალბათ იმპრესიონისტი ხართ – მიუბრუნდა მეორე კლოუნი მხატვარს.

– მე ჩემებურად ვხატავ.

– მით უკეთესი – გაეღიმა მარგარიტას.

– ჩვენს სტუმარს გაუმაჯოს – ჭიქა მიუჭახუნა პირველმა კლოუნმა ოსტატს.

– მე კი მგონია, პირველი სადღეგრძელო ქალბატონს ეკუთვნის – დამცინავად მიაშტერდა მხატვარს მეორე.

– ეგრეა, მაშ! – ჩაიბუტბუტა უცნობმა.

– ოჰო, თქვენც გისწავლიათ ქალის პატივისცემა – ჩაიცინა პირველმა და ყველას გასაგონად დაამატა:

– ვოტ ვამ რუსკი საპოგ!

ოსტატი წამოდგა. სუფრა გაისუსა.

– თქვენს ქვეყანას გაუმარჯოს! – დაარღვია სიჩუმე მარგომ და მხატვარს ხელი, ხელზე მაგრად მოუჭირა. კაცმა ჭიქა აიღო და ასე გამოთქვა:

– ქვეყანა ზღვაა, ზოგს ამოატივტივებს, ზოგსაც დასძირავს, ნეტავ რისგან არი?

მერე სასმისი გამოსცალა, მაგიდაზე ოქროს თუმნიანი დადო და გარეთ ისე გამოვიდა, უკან არც მოუხედავს. მის ზურგს უკან კი, გამხიარულებულმა რუსებმა სიმღერა დასცხეს:

– ნა რეჩკე, ნა რეჩკე, ნა ტომ ბერეჟოჩკე, მილა მარუსია…

მეორე დღეს შებინდებისას, მუშტაიდს ზემოთ, მალაკნების ქუჩაზე კოჭლი მეეზოვე გამოჩნდა. ის, შავებში ჩაცმულ ახალგაზრდა ქალბატონს მოუძღვებოდა, რომელსაც სახეს ვუალი უფარავდა. ისინი 4 ნომერ ეზოში, უხმოდ შევიდნენ. მეეზოვემ, თავისი ჯოხით ფიცრულ კარზე დააკაკუნა და გაუჩინარდა. კარი ჭრიალით გაიღო და შიგ მხატვარი გამოჩნდა. კაცი თვალებს არ უჯერებდა, მის წინ მარგარიტა იდგა და ოდნავ იღიმოდა. ოსტატი სუნთქვაშეკრული უყურებდა, შესაფერის სიტყვებს ვერ პოულობდა. გონს რომ მოეგო, ქალი შინ შეიპატიჟა. ის, ვიწრო და ბნელ ოთახში ცხოვრობდა, რომელიც კიბის ქვეშ იყო მოთავსებული. სინამდვილეში, ეს საერთოდ არ იყო ოთახი, არამედ – საკუჭნაო კიბეების ქვეშ, რომელიც უფრო პატარა და ვიწრო ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. და ამდენი წლის შემდეგ მარგარიტას, პირველად გაახსენდა სახლი.

ბინა ნახატებით იყო სავსე. ოთახის შუაგულში კი მოლბერტზე, ნახატი იდო. მუქი, მშვიდი და წყნარი ზღვის აღმოსავლეთით, ძველი ციხე-ქალაქი იყო გამოსახული, რომელსაც ზედ, ციდან ჩამოვარდნილი, შავი ყურძნის უზარმაზარი მტევანი დასცემოდა. დასავლეთიდან კი, ამ საცოდაობას მადონა გამოსცქეროდა და დამცინავად იღიმოდა.

– ეს რა არის? – დაინტერესდა ქალი.

– სისულელეა – აუხსნა ოსტატმა.

– ეგ როგორ?

– როგორ და, როგორც მილიონი ვარდი

– ვარდი?

– ჰო, ვარდი.

– რატომ?

– იმიტომ რომ, ამდენ ვარდს ვერსად იშოვის კაცი?

– მე როგორღა დამხატავ?

– როგორ და როგორც ევროპეს.

– საინტერესოა

– მაშ როგორ გინდა დალოცვილო?

– რავიცი

– ჰო, ევროპა ხარ და იმიტომ

– შენ?

ოსტატმა არაფერი უპასუხა, ნახატი აიღო, ჩარჩოს შემოხსნა, მშვიდად გადაკეცა და ღუმელში შეუკეთა, რომელზეც ჩაი ადუღდა. ოთახში უსიამოვნო სუნი დადგა. მერე ქალს ჭიქა ჩამოართვა და მაგიდაზე, ორი კვერცხის გვერდით დადგა. შემდეგ მოსასხამი შემოხსნა და მარცხენა ყურზე აკოცა. მარგოს, იმ სუნის გამო თავბრუ დაეხვა. ყოველ ჯერზე ასეთი თავბრუსხვევა, სრულყოფილი მუსიკის უნაკლო დანამატად ეჩვენებოდა, რადგან ეს ტალღები სუფთა ოქროთი ბრწყინავდა და მისი აზრით, საოცრად ჰგავდა ალპების მომხიბვლელ პეიზაჟებს. როცა ასეთ

მინდვრებზე სასეირნოდ გადიოდა, მათი ტყვეობიდან თავის დაღწევის ძალა აღარ შესწევდა.

მთელი ღამე, მთვარის შუქზე ხატავდა ოსტატი. ნატურა არ სჭირდებოდა, ისედაც გრძნობდა მას. სიბნელეს ფუნჯით ებრძოდა, დონ კიხოტივით და ვარდებს რგავდა მარგარიტას ბაღში. არ ლოთობდა მეეზოვის ჯინაზე და ამას ფიქრობდა:
”მშვიდად სძინავს, ანდა ვცდები, უეცრად ხომ არ მოსწყდა ავადმყოფი ყვავილი?”
აღმოსავლეთით მოსული, მზის პირველ სხივთან ერთად დაიბადა აკტრისას პორტრეტიც: გაქონილი ქვედაბოლოთი, დაკემსილი წინდებით, გაცვეთილი ქალამნებითა და ამაზრზენი ყვითელი ყვავილებით, რომლის სახელიც არავინ უწყის.

მარგარიტა თვალებს არ უჯერებდა – ტილოზე კონკია ეხატა! ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს დამუნჯდა, თუ დანაშაულზე წაასწრეს, თუ ცოცხლად გაატყავეს.
”რა დაგიშავე? აგრე მახინჯი რად დამხატე? ღმერთმა დაწყევლოს შენი თავიცა და ტანიც!” – უნდოდა ეყვირა, მაგრამ ვერ შეძლო. ოსტატი კი, თავჩაღუნული იჯდა დამპალ სამფეხა სკამზე და ხმას არ იღებდა. არც განძრეულა, ვიდრე კარის გაჯახუნებამ, კინაღამ თავზე, ის კიბე არ ჩამოანგრია.

[გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა - margo2]